



საინფორმაციო სამედიცინო-
ფსიქოლოგიური ცენტრი თანადგომა

თბილისი, საქართველო

წლიური ანგარიში

2019



სარჩევი

შემოკლებები	3
თანადგომას გამგეობის თავმჯდომარის მიმართვა	4
თანადგომას აღმასრულებელი დირექტორის მიმართვა.....	5
შესავალი	7
მიმდინარე პროგრამები.....	8
შედეგები სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით	10
სტრატეგიული მიზანი 1	10
სტრატეგიული მიზანი 2	21
სტრატეგიული მიზანი 3	25
პარტნიორობა და ქსელური მუშაობა.....	27
ორგანიზაციის 2019 წლის ფინანსური ანგარიში.....	28

შემოკლებები

აივ - ადამიანის იმუნოდეფიციტის სინდრომი

დკსჯეც - დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

ლგბტ - ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი

ინმ - ინექციური ნარკოტიკის მომხმარებლები

მსმ - მამაკაცი, რომელსაც სექსი აქვს მამაკაცთან

ნკტ - ნებაყოფლობითი კონსულტირება და ტესტირება აივ-ზე

საია - საქართველოს ახალგაზრდა იურისტების ასოციაცია

სგგი - სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები

სმ - სექს-მუშაკი

სრჯუ - სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები

ტბ - ტუბერკულოზი

შიდსი - შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი

AFEW – შიდსის ფონდი აღმოსავლეთი-დასავლეთი

AHF – შიდსის ჯანდაცვის ფონდი

ECOM – მამაკაცთა ჯანმრთელობის ევრაზიის კოალიცია

EKHN – სარისკო პოპულაციების ჯანმრთელობის ევრაზიის ქსელი

IAS – შიდსის საერთაშორისო საზოგადოება

ICPD - მოსახლეობისა და განვითარების საერთაშორისო კონფერენცია

RFSU – სექსუალური განათლების შვედეთის ასოციაცია

UNFPA – გაეროს მოსახლეობის ფონდი

თანადგომას გამგეობის თავმჯდომარის მიმართვა



ძვირფასო კოლეგებო,

წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია თანადგომას 2019 წლის მიღწევები. მინდა, მაღლობა გადავუხადო თანადგომა მთელ შტატს და ასოციაციის ყველა წევრს მათი ინტენსიური მუშაობისა და თანამშრომლობისათვის. განსაკუთრებული მაღლობა ორგანიზაციის აღმასრულებელ დირექტორს და ადმინისტრაციას იმ წარჩინებული ყოველდღიური შრომისათვის, რაც მათ თანადგომაში გასწიეს.

2019 წელს თანადგომა აგრძელებდა სვლას თავისი მისიის შესრულებისაკენ, რომელიც მდგომარეობს ადამიანების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაში კომპეტენტური სერვისების მიწოდების, კვლევების, ისევე, როგორც სხვადასხვა არასამთავრობო, სამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობისა და პარტნიორობის გზით. ჩვენი ორგანიზაციის მუშაობა ამყარებდა წინა მიღწევებს, პასუხობდა სხვადასხვა გამოწვევებს და, ჩემი აზრით, მნიშვნელოვანი წინსვლები აქვს თავისი პროგრამების - სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების და ფსიქიკური ჯანმრთელობის - განხორციელებაში.

მინდა, განსაკუთრებით აღვნიშნო გენდერთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც თანადგომას მუშაობაში იყო ჩაქსოვილი ბოლო ერთი წლის განმავლობაში. გენდერული ანალიზი და გენდერული გავლენის შეფასება ორგანიზაციისათვის არსებით ინსტრუმენტებად იქცა. გენდერული თანასწორობის საკითხები გათვალისწინებულია პროგრამირების, მონიტორინგისა და შეფასების ყველა ეტაპზე, და მათზე რეაგირების გზები ახლიდან იქნა განხილული და გადახედული. ამ ძალისხმევამ თანადგომა მისცა შესაძლებლობა, შემდგომი ნაბიჯები გადადგმულიყო გენდერული მეინსტრიმინგის მიმართულებით, განსაკუთრებით იმ ინიციატივებში, რომლებიც ეხება სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და უფლებებს.

და ბოლოს, მაღლიერებას გამოვხატავ თანადგომას ყველა მხარდამჭერის, ჩვენი დონორებისა და პარტნიორი ორგანიზაციების მიმართ, ჩვენს მიმართ ნდობისა და იმ შესაძლებლობებისათვის, რაც ჩვენი საქმის უკეთესად შესრულებას უწყობს ხელს.

საუკეთესო სურვილებით,

ლელა კურდღელაშვილი
გამგეობის თავმჯდომარე

თანადგომას აღმასრულებელი დირექტორის მიმართვა



ძვირფასო მეგობრებო, კოლეგებო და პარტნიორებო,

მოხარული ვარ, წარმოგიდგინოთ „საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი თანადგომას“ 2019 წლის ანგარიში.

ეს ჩვენი ორგანიზაციისათვის გამოწვევების წელი იყო, დაწყებული გარე პოლიტიკური თუ სოციალური დაძაბულობით საქართველოში, რამაც გავლენა მოახდინა არაერთ სფეროზე, რომელშიც თანადგომა მოღვაწეობს, და დასრულებული უკიდურესად დატვირთული გრაფიკით ორგანიზაციის შიგნით, რაც ადმინისტრაციისათვის არ იყო ადვილი გასამკლავებელი. და მაინც, ჩვენ წარმატებულად გავართვით თავი ამ გამოწვევებს და შევძელით, 2019 წლისათვის დასახული მიზნების უმეტესობისათვის მიგვეღწია.

ბოლო წლის განმავლობაში თანადგომა კვლავ აქტიურად იყო ჩართული სრჯუ სფეროში და მუშაობდა ყოვლისმომცველი სექსუალური განათლების, ოჯახის დაგეგმვის პოპულარიზაციის, გენდერული ძალადობის, აივ/შიდსის, სვსი-ის და ა.შ. საკითხებზე. ამავე დროს, ორგანიზაციამ წამოიწყო ახალი ინიციატივა მედიკამენტური აბორტის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებისათვის. ადვოკატირება ჩვენი მუშაობის მნიშვნელოვან სტრატეგიად იქცა არაერთი მიმართულებით. ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგრამაც ვითარდებოდა, უფრო მეტი აქცენტით ადვოკატირებაზე. ჩვენ შევინარჩუნეთ ხილვადობა საერთაშორისო დონეზე და გავაძლიერეთ არსებული პარტნიორობა ქვეყნის შიგნით. რაც შეეხება ორგანიზაციულ განვითარებას, ჩვენი მთავარი სამიზნე მდგრადობის შენარჩუნება იყო, რასაც 2019 წელს წარმატებით მივაღწიეთ.

ასოციაციამ ახალი გამგეობა აირჩია. მისი შემადგენლობა იძლევა ძლიერი მეთვალყურეობის და სტრატეგიული ხელმძღვანელობის საფუძველს ჩვენი მომავალი განვითარებისათვის, ისევე, როგორც ახლად დამტკიცებული 2020-2022 წლების სტრატეგიული გეგმის წარმატებული განხორციელებისათვის.

მინდა, მაღლიერება გამოვხატო ჩვენი ორგანიზაციის გამორჩეული, ძალიან ეფექტიანი შტატის მიმართ. მათი თავდადება და კრეატიულობის გარეშე თანადგომა ვერ შეძლებდა, ყოფილიყო ქვეყანაში ერთ-ერთი წარჩინებული არასამთავრობო ორგანიზაცია.

ამავე დროს, მაღლობა მოვახსენებ თანადგომას ყველა პარტნიორს, დონორს, ასოციაციის წევრს, მოხალისესა და ასევე თემებს, რომლებთანაც ჩვენ ვმუშაობთ მათი ნდობისათვის, მხარდაჭერისა და თანადგომას საქმიანობის მიმართ ინტერესისათვის. ეს გვეხმარება ჩვენი სტრატეგიული მიზნების მიღწევაში და გვაძლევს ჩვენი მუშაობისათვის ასე აუცილებელ ვალიდაციას.

დიდი მადლობა!

ნინო წერეთელი

აღმასრულებელი დირექტორი

შესავალი

თანადგომა დაფუძნდა, როგორც ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია 2000 წელს, თითქმის 20 წლის წინ. მას შემდეგ ორგანიზაცია გაიზარდა, გააფართოვა თავისი პორტფელი და მიაღწია ორგანიზაციული განვითარების გარკვეულ დონეს. ამჟამად, თანადგომა არის კარგად ჩამოყალიბებული ორგანიზაცია მკაფიოდ განსაზღვრული მმართველობითი სტრუქტურითა და მიზნებით, ისევე, როგორც ფართო საპარტნიორო ქსელით, რაც ხელს უწყობს ორგანიზაციის მდგრად შემდგომ განვითარებას.

თანადგომა **ხედვად** ფიზიკურად და ფსიქიკურად ჯანმრთელი საზოგადოება, სადაც დაცულია ადამიანთა ჯანმრთელობის უფლება, განათლების სისტემაში დანერგილია სქესობრივი აღზრდა, მოქალაქეებს ხელი მიუწვდებათ ეფექტური რეპროდუქციული ჯანმრთელობის მომსახურებაზე, შესაბამისად ნაკლებად ვრცელდება ინფექციური დაავადებები, მცირდება აბორტების რიცხვი, მაღალია ოჯახის დაგეგმვის მეთოდების გამოყენება, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მაღალი რისკის ჯგუფებს, შესაბამისად ნაკლებია ამ საკითხებთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური პრობლემები და ასევე ფართოდ დანერგილია ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის სერვისები.

ამ ხედვის რეალიზების მიზნით **ასოციაციის თანადგომა მისიაა საქართველოს მოსახლეობის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესება** პრევენციული, საგანმანათლებლო, დიაგნოსტიკური და სარეაბილიტაციო სერვისების განხორციელებისა და მათი ადვოკატირების გზით. ასევე თანადგომა უზრუნველყოფს შესაბამისი ორგანიზაციების, თემების და სხვა დაინტერესებული პირების შესაძლებლობების განვითარებას.

თანადგომა იზიარებს და საქმიანობებს ახორციელებს შემდეგ პრინციპებზე დაყრდნობით:

- ყველა ადამიანი თანასწორია მიუხედავად რასის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, რელიგიური თუ ეთნიკური მიკუთვნებულობისა;
- გენდერული აქცენტები, ადამიანის უფლებები და არადისკრიმინაციული მიდგომები გამჭოლი თემებია ორგანიზაციის მუშობაში.

თანადგომა მუშაობს მთელი ქვეყნის მასშტაბით. თანადგომას სერვისები ხელმისაწვდომია რეპროდუქციული ასაკის ზოგადი მოსახლეობისათვის, მაგრამ ორგანიზაცია განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს და პროაქტიულ პროგრამებს შეიმუშავებს ქალებისათვის და რისკის ქვეშ მყოფი, მოწყვლადი ჯგუფებისთვის (სარისკო პოპულაციებისათვის): მამაკაცები, რომელთაც სექსი აქვთ მამაკაცებთან - მსმ, ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებლები - ინმ, სექს-მუშაკები - სმ, ახალგაზრდები, პატიმრები, ღებტ თემი, ტრეფიკინგის მსხვერპლი, ადამიანები, რომელთაც შეეხოთ აივ/შიდსი, იძულებით ადგილნაცვალი პირები, და სხვა.

წინამდებარე ანგარიში წარმოგიდგენთ თანადგომას აქტივობებს, მიღწევებსა და ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლისათვის, 2017-2019 სტრატეგიული გეგმის მიხედვით. სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესში თანადგომამ გაიარა კონსულტაციები სამიზნე პოპულაციების წარმომადგენლებთან, ისევე, როგორც რამდენიმე საკვანძო დაინტერესებულ მხარესთან - პარტნიორ ორგანიზაციებთან, რათა უზრუნველყო სტრატეგიული გეგმის შესაბამისობა გარემოში არსებულ საჭიროებებსა და მოთხოვნებთან. გარდა ამისა, ამ კონსულტაციების მიზანი იყო გეგმის შესაბამისობის მხარდაჭერა ქვეყანაში პროგრამირებისა და დაფინანსების ძირითად ტენდენციებთან. მიმდინარე სტრატეგიული გეგმა დამტკიცდა თანადგომას საერთო კრების მიერ 2016 წლის 19 ივლისს. შემდგომი სტრატეგიული ციკლი მოიცავს 2020-2022 წლებს და შესაბამისი სტრატეგიული გეგმა დაამტკიცა თანადგომას საერთო კრებამ 2019 წლის 18 ოქტომბერს.

მიმდინარე პროგრამები

2017-2019 სტრატეგიული გეგმის მიხედვით, 2019 წელს თანადგომას სამი სტრატეგიული პრიორიტეტი ჰქონდა:

1) **სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები**, რაც შემდეგ ამოცანებს მოიცავდა:

- 1.1. სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების ადვოკაცია როგორც საქართველოში, ისე საერთაშორისო დონეზე.
- 1.2. თანამშრომლობა სახელმწიფო და არასამთავრობო დაინტერესებულ პირებთან საქართველოს განათლების სისტემაში ყოვლისმომცველი სექსუალური განათლების ინკორპორირების ხელშეწყობის მიზნით.
- 1.3. სგგი-ის, აივ/მიდსის, ტუბერკულოზის, ვირუსული ჰეპატიტების და რეპროდუქციული სისტემის ონკოლოგიური დაავადებების პრევენცია მოწყვლად პოპულაციებში
- 1.4. ოჯახის დაგეგმვის პოპულარიზაცია
- 1.5. გენდერული ძალადობისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრის ხელშეწყობა მოწყვლადი ქალებისათვის საქართველოში
- 1.6. ტექნიკური მხარდაჭერის გაწევა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხებში სათემო და სამოქალაქო ორგანიზაციებისათვის
- 1.7. სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხებზე ხარისხობრივი და რაოდენობრივი კვლევების ჩატარება

2) **ფსიქიკური ჯანმრთელობა**, რაც შემდეგ ამოცანებს მოიცავდა:

- 2.1. მდგრადი და რეგულარული ფსიქოსოციალური სერვისების უზრუნველყოფა მოწყვლადი პოპულაციებისათვის
- 2.2. მდგრადი და რეგულარული ფსიქოსოციალური სერვისების ინსტიტუციონალიზაციის ხელშეწყობა მოწყვლადი პოპულაციებისათვის
- 2.3. ნარკოკანონმდებლობის ცვლილებაში და საქართველოში ნარკომომხმარებლების მიმართ სტიგმის შემცირებაში წვლილის შეტანა
- 2.4. ტექნიკური მხარდაჭერის გაწევა ფსიქოსოციალური რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის საკითხებზე სათემო და სამოქალაქო ორგანიზაციებისათვის
- 2.5. ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხებზე ხარისხობრივი და რაოდენობრივი კვლევების ჩატარება

3) **ორგანიზაციული განვითარება**, რაც შემდეგ ამოცანებს მოიცავდა:

- 3.1. ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მხარდაჭერა
- 3.2. ტექნიკური და ადმინისტრაციული რესურსების შენარჩუნება, განახლება და მხარდაჭერა
- 3.3. ორგანიზაციული სისტემების გადახედვა და გაუმჯობესება სათანადო ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად

2019 წლის განმავლობაში, პირველი ორი პროგრამული მიმართულების ფარგლებში, თანადგომა ახორციელებდა 18 სხვადასხვა პროექტს, შემდეგი დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით: RFSU, ევროკავშირი, კარიტასი ტიროლია, აივ/მიდსთან, ტუბერკულოზთან და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდი (3 პროექტი), ღია საზოგადოება საქართველო (2 პროექტი), UNFPA, AFEW, Solidarite SIDA, Grand Challenges Canada, ECOM, EKHN.

შედეგები სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით

სტრატეგიული მიზანი 1

საქართველოში სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხების წინ წამოწევის ხელშეწყობა.

ამოცანები:

1.1. სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების ადვოკაცია როგორც საქართველოში, ისე საერთაშორისო დონეზე

ეროვნული ალტერნატიული ანგარიშის შეტანა პეკინის სამოქმედო პლატფორმის 25 წლის შესრულებისათვის: 2019 წელს, თანადგომა, რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების კოალიციასთან და ქალთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციებთან ერთად, მონაწილეობდა ეროვნული პარალელური ანგარიშის მომზადებაში პეკინის დეკლარაციისა და სამოქმედო გეგმის განხორციელებისათვის - პეკინი+25. ანგარიში ფოკუსირებულია საქართველოში ქალთა და მოწყვლადი ჯგუფების სექსუალურ ჯანმრთელობაზე, ისევე, როგორც რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და უფლებებზე. ანგარიშში შეფასებულია პეკინის სამოქმედო პლატფორმის განხორციელებაში მიღწეული პროგრესი ბოლო წლების განმავლობაში, იდენტიფიცირებულია არსებული გამოწვევები და წარმოდგენილია ძირითადი სამოქმედო რეკომენდაციები.

სრჯუ პლატფორმის ფუნქციონირება: 2019 წლის განმავლობაში, თანადგომამ, RFSU-ს მხარდაჭერითა და გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისთან თანამშრომლობით, ჩაატარა 3 სამუშაო შეხვედრა სრჯუ პლატფორმის ორგანიზაციებთან. ეს იმ პროცესის გაგრძელება იყო, რომელიც 2018 წელს დაიწყო.

პირველი შეხვედრა ჩატარდა 16 აპრილს და ძირითად ეძღვნებოდა სრჯუ ტერმინოლოგიის ქართული ლექსიკონის შემუშავებას. გარდა ამისა, UNFPA-მ აუდიტორიას გაუზიარა მსოფლიო პოპულაციის ბოლო ანგარიში. შეხვედრის მონაწილეები შეთანხმდნენ ლექსიკონში შესატანი ტერმინების საწყის სიაზე. თანადგომამ, როგორც ამ პროცესის წამყვანმა ორგანიზაციამ, უზრუნველყო მომდევნო მუშაობა პლატფორმის შემდეგი შეხვედრისათვის, რომელიც შემოდგომაზე დაიგეგმა.

სრჯუ პლატფორმის მეორე შეხვედრა ჩატარდა ოქტომბერში და სრულად ეძღვნებოდა სამოქალაქო საზოგადოების განცხადების მომზადებას ნაირობის სამიტისათვის ICPD+25. თანადგომას ექსპერტებმა წარმატებით გასწიეს ამ პროცესის ფასილიტაცია. უნდა აღინიშნოს, რომ თანადგომას აღმასრულებელი დირექტორი საქართველოს დელეგაციის წევრი იყო სამიტზე და წარადგინა სამოქალაქო საზოგადოების განცხადება.

სრჯუ პლატფორმის მესამე შეხვედრა ჩატარდა 2019 წლის დეკემბერში და ეძღვნებოდა შემდეგ საკითხებს: ნაირობის სამიტის შედეგების წარდგენა; სრჯუ ლექსიკონის სამუშაო ვერსიის განხილვა; მედია მონიტორინგის ანგარიშის პრეზენტაცია (იხილეთ ქვემოთ **სრჯუ საკითხების მედია მონიტორინგი**) და 2020 წლის გეგმების განხილვა. სრჯუ პარტნიორმა ორგანიზაციებმა მიაწოდეს საინტერესო უკუკავშირის და რეკომენდაციები როგორც ლექსიკონზე, ისე მედია მონიტორინგის ანგარიშზე. შეხვედრის შედეგებზე დაყრდნობით, 2019 წლის ბოლოსათვის, თანადგომას ექსპერტებმა შეიმუშავეს სრჯუ ქართული ლექსიკონის პრეფინალური ვერსია. მისი დასრულების შემდგომი ნაბიჯები არის რედაქტირება და დიზაინის მომზადება ონლაინ ვერსიისათვის. ლექსიკონის საბოლოო ვერსია მზად იქნება 2020 წლის პირველი კვარტალის ბოლოს.

სრჯუ სახელმწიფო დაფინანსების ანალიზი: გარდა ამისა, 2019 წლის დეკემბერში, თანადგომას ექსპერტებმა დაიწყეს სრჯუ სახელმწიფო პროგრამების დაფინანსების ანალიზი. საწყისი დამუშავებისა და მიგნებების განხილვის შემდგომ გადაწყდა ანალიზის გაფართოვება, კერძოდ, მეტად დეტალიზებული ანალიტიკური ანგარიშის შემუშავება იმაზე, თუ როგორ პასუხობს არსებული სახელმწიფო პროგრამები, დაფინანსება და ფინანსური სქემები

მოსახლეობის აქტუალურ სრჯუ საჭიროებებს. ანალიზის საბოლოო ვერსია რეკომენდაციებითურთ მოსალოდნელია, დასრულდეს 2020 წლის პირველი კვარტალის ბოლოს.



სრჯუ პლატფორმის შეხვედრები, ოქტომბერი და დეკემბერი, 2019

აივ-ისა და ტუბერკულოზის საკითხების ადვოკატირება ქალაქის დონეზე: გლობალური ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის "დაჩქარებული პასუხი ტუბერკულოზსა და აივ-ზე სარისკო პოპულაციებისათვის აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქალაქებში" ფარგლებში თანადგომა კვლავ ხელმძღვანელობდა საქალაქო სამუშაო ჯგუფს, რომელიც შედგებოდა სახელმწიფო და არასამთავრობო, ასევე სათემო ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან. ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლების სენსიტიზაციის და მათთა მიმდინარე თანამშრომლობის საფუძველზე, თანადგომას მიერ წარმართულმა ადვოკატირების პროცესმა შედეგად გამოიღო ნულოვანი ტუბერკულოზის დეკლარაციის ხელმოწერა თბილისის მერიის მიერ. პროექტის კიდევ ერთი ხელშესახები შედეგია ის, რომ შემუშავდა ქალაქის დონის მონაცემების შემუშავების სისტემები აივ-ისა და ტუბერკულოზის კუთხით, და შეგროვდა ასეთი მონაცემები 2017-2019 წლებისათვის.



ნულოვანი ტუბერკულოზის დეკლარაციის ხელმოწერა თბილისის მერიაში

სრჯუ საკითხების წარმოჩენა მედიაში: 2019 წლის თებერვალ-აპრილში თანადგომას ექსპერტებმა ორგანიზება გაუწიეს და მონაწილეობა მიიღეს სრჯუ საკითხებისადმი მიძღვნილ 12 რადიო გადაცემაში რადიოსადგურ „იმედზე“. რადიო გადაცემების მიზანი იყო სრჯუ საკითხებზე ზოგადი მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება და სენსიტიზაცია.

სრჯუ საკითხების მედია მონიტორინგი: სრჯუ სფეროში თანადგომას სამუშაო გეგმის ფარგლებში, 2019 წელს ჩატარდა სრჯუ საკითხების მედიამონიტორინგის კვლევა. მონიტორინგმა მოიცვა 2018 წელი და ყველა ტიპის მედია - ტელევიზია, რადიო, ბეჭდური და სოციალური მედია. მკვლევარებმა მედიაში შემდეგი საკითხების გაშუქების მონიტორინგი

აწარმოეს: აბორტი, ოჯახის დაგეგმვა და სექსუალური განათლება. ანგარიში და რეკომენდაციები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გაუმჯობესდეს სრულ საკითხების გაშუქება ქართულ მედიაში, როგორც მედიის წარმომადგენლებისათვის, ისე სრულ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებისათვის, წარდგენილ იქნა სრულ პლატფორმის შეხვედრაზე 2019 წლის დეკემბერში და ხელმისაწვდომია თანადგომას ვებგვერდზე.

აჭარის რეგიონული აივ/შიდსის სტრატეგიის შემუშავება: 2019 წელს თანადგომამ დაასრულა აჭარის 2019-2023 წლების აივ-ის სტრატეგიის შემუშავება. დოკუმენტზე მუშაობა 2018 წელს დაიწყო და თანადგომა შერჩეულ იქნა ექსპერტ ორგანიზაციად აჭარის რეგიონის მთავრობის მხარდაჭერისათვის სტრატეგიის შემუშავების პროცესში. სტრატეგია წარედგინა დაინტერესებული მხარეების ფართო საზოგადოებას ბათუმში, 2019 წლის მაისში. პრეზენტაციის დროს აჭარის რეგიონის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა თავის მიმართვაში სტრატეგიის განხორციელებას სრული მხარდაჭერა გამოუცხადა.

აივ ინფექციის პრევენციის სტანდარტების შემუშავება და დასამტკიცებლად შეტანა: 2019 წლის განმავლობაში თანადგომა მონაწილეობდა სარისკო პოპულაციებისათვის აივ-პრევენციის სტანდარტების შემუშავების პროცესში. ეს ძალიან თანამშრომლობითი პროცესია, რომელსაც ნაწილობრივ მხარს უჭერს გაეროს მოსახლეობის ფონდი (აივ-პრევენციის სტანდარტების შემუშავებაში, სექს-მუშაკ ქალებსა და ახალგაზრდებში), ხოლო ნაწილობრივ კი - ევრაზიის ზიანის შემცირების ასოციაცია (ზიანის შემცირების სტანდარტები ნარკოტიკების მომხმარებლებს შორის). თანადგომას პასუხისმგებლობა იყო აივ-პრევენციის სტანდარტების შექმნა მსმ-ებსა და სექს-მუშაკებში. 2019 წლის ოქტომბერში სტანდარტების პაკეტი (გაიდლაინები) შეტანილ იქნა ჯანდაცვის სამინისტროს შესაბამის საბჭოში. დოკუმენტების დამტკიცება მოსალოდნელია 2020 წელს. შემდგომი ნაბიჯი იქნება პროტოკოლებისა და განფასების შედგენა და მათი შეტანა დასამტკიცებლად. ეს დაასრულებდა პაკეტის დამტკიცებას და მოახდენდა იმის უზრუნველყოფას, რომ სარისკო პოპულაციებში აივ-ის პრევენცია სახელმწიფო დაფინანსების შემთხვევაში დაფუძნებული იქნება კონკრეტულ ხარისხის სტანდარტსა და განფასებაზე.

არასამთავრობო ორგანიზაციების სოციალური კონტრაქტირება საქართველოში: სოციალური კონტრაქტირება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, რომელზეც თანადგომას გუნდი აქტიურად მუშაობდა სხვა დაინტერესებულ მხარეებთან 2019 წლის განმავლობაში. ფონდმა საზოგადოებასთან თანამშრომლობით თანადგომამ ჩაატარა მრგვალი მაგიდა საქართველოში სოციალური კონტრაქტირების საკითხებთან დაკავშირებით. გალობალური ფონდის საქართველოს პორტფელის მენეჯერი ასევე ესწრებოდა შეხვედრას. შეხვედრის განმავლობაში განხილულ იქნა სოციალური კონტრაქტირების არსებული პრობლემები და მომავალი პერსპექტივები. ყველა დაინტერესებულმა მხარემ გამოხატა მზაობა, გაგრძელებდეს თანამშრომლობა და შეხვდნენ ასევე 2020 წელს, უკვე კონკრეტული და დეტალური წინადადებებით იმის შესახებ, თუ როგორ მოხდეს სოციალური კონტრაქტირების გამარტივების ადვოკაცია და როგორ მოხდეს სახელმწიფო სტრუქტურების მოტივირება მომავალ დისკუსიებში მონაწილეობის მისაღებად.

1.2 თანამშრომლობა სახელმწიფო და არასამთავრობო დაინტერესებულ პირებთან საქართველოს განათლების სისტემაში ყოვლისმომცველი სექსუალური განათლების ინკორპორირების ხელშეწყობის მიზნით

ეროვნულ სტანდარტებზე მუშაობა: 2019 წელს თანადგომა აგრძელებდა პროაქტიულ მუშაობას ყოვლისმომცველი სექსუალური განათლების დანერგვისათვის საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში. თანადგომა აქტიურად თანამშრომლობდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან განათლების საბაზო საფეხურის სტანდარტების (ბიოლოგია და სამოქალაქო განათლება) მიმოხილვის პროცესში, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის და ცხოვრების ჯანსაღი წესის საკითხების ინტეგრირების მიზნით. გარდა ამისა, ამ წლის განმავლობაში, თანადგომამ დაიწყო მუშაობა შერჩევითი საგნის სტანდარტზე, რომლის შინაარსიც რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები იქნება.

ჩატარდა თანადგომას და განათლების სამინისტროს ექსპერტების სამი მოსამზადებელი შეხვედრა, სადაც შერჩევითი საგნის საკითხები და თემები იქნა განხილული. პროცესი გაგრძელდება 2020 წელს.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ სთხოვა თანადგომას, დაეწყო მე-7 კლასის ბიოლოგიის საგნის პილოტირება თბილისის შერჩეულ სკოლებში. თანადგომასა და სამინისტროს ექსპერტებმა შეარჩიეს თბილისში 12 სკოლა ახალი სტანდარტის პილოტირებისათვის. პილოტირების დაწყებამდე მასწავლებლებს ჩაუტარდათ 7-დღიანი, რათა ისინი მომზადებულიყვნენ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა „ახალი სკოლის მოდელი (იხ. ქვემოთ სექცია „მასწავლებლების ტრენინგი“), ბავშვის განვითარების საფეხურები, ბიოლოგიის ახალი სტანდარტი, გარდატეხის ასაკისათვის დამახასიათებელი ფსიქოსოციალური პრობლემები, განათლების ფსიქოლოგია (მოტივაცია, კლასის დინამიკა, სწავლების ინტერაქტიული მეთოდოლოგია, სხვ.), კომუნიკაცია და ფასილიტაცია, გაკვეთილების სცენარების განხილვა და როლური თამაშები. მას შემდეგ, რაც მასწავლებლები მომზადდნენ, თითოეულ სკოლაში ჩატარდა ორი პილოტური გაკვეთილი, ჯამში - 24 გაკვეთილი. პილოტის დასრულების შემდგომ, 2019 წლის ივნისში, თანადგომამ ჩაატარა ორი შემაჯამებელი სამუშაო შეხვედრა და ფინალური კონფერენცია.

მშობლებთან მუშაობა: თანადგომამ შექმნა ფეისბუქის გვერდი მშობლებისათვის „ვსაუბრობთ მოზარდ შვილებზე“. გვერდის მიზანია, მშობლებს მიეწოდოს სწორი და სანდო ინფორმაცია მოზარდობის ასაკის სირთულეების, ცხოვრების ჯანსაღი წესის, სექსუალური განათლების მნიშვნელობის და გარდატეხის ასაკთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე. მისი შექმნის მომენტიდან, 2019 წლის ოქტომბერში, გვერდს 251 გამომწერი ჰყავს. თანადგომამ ასევე ორგანიზება გაუკეთა „მშობლების კურსებს“ და ჩაატარა 2 სამუშაო შეხვედრა მშობლებისათვის. სამუშაო შეხვედრებმა ძალიან დადებითი უკუკავშირი მიიღო მონაწილეების მხრიდან.

მასწავლებლების ტრენინგი: 2019 წელს თანადგომა გეგმავდა თანამშრომლობას მასწავლებლების პროფესიული განვითარების ცენტრთან „მასწავლებლის სახლი“. ამ ორგანიზაციასთან წინასწარი კომუნიკაციის დროს გამოიკვეთა, რომ ის აპირებდა მასწავლებლებისათვის სრულ საკითხებზე ტრენინგის ჩატარებას და თანადგომასთან გეგმავდა თანამშრომლობას. თუმცა, განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების გამო, კონკურსი სრულ საკითხების ტრენინგის ჩასატარებლად გადაიდო განუსაზღვრელი დროით. ამასობაში, განათლების სისტემის რეფორმების ნაწილი მოიცავდა ახალი სკოლის მოდელის პილოტირებას, სადაც მხარდაჭერის ჯგუფს (ეგრეთ წოდებული ქოუჩები) უნდა ემუშავა ყველა სკოლაში და დახმარებოდა მათ ახალი საგანმანათლებლო მიდგომების დანერგვაში. ქოუჩების ფუნქცია უნდა ყოფილიყო სხვა კოლეგების, მასწავლებლების დახმარება ინდივიდუალური წლიური სამუშაო გეგმების შედგენაში ახალი სკოლის მოდელის სტანდარტების მიხედვით.

2019 წლის ზაფხულში, განათლების სამინისტროს მოთხოვნიდან გამომდინარე, თანადგომამ, გაეროს მოსახლეობის ფონდთან თანამშრომლობით, მოამზადა და ჩაატარა ქოუჩების ტრენინგები ჯანსაღი ცხოვრების წესის საკითხებზე ახალი სკოლის მოდელის მხარდამჭერი ჯგუფებისათვის. ტრენინგის მიზენი იყო ქოუჩების მომზადება ჯანსაღი ცხოვრების წესის საკითხების ჩართვისათვის სკოლებთან მათი მუშაობის პროცესში. ჯამში ჩატარდა 4 ტრენინგი, რომელსაც 78 მონაწილე დაესწრო.



ქოუჩების ტრენინგი განათლების სამინისტროში

სამუშაო შეხვედრა RFSU-ს პარტნიორებისათვის ყოვლისმომცველი სექსუალური განათლების საკითხებზე: 2019 წლის მარტში თანადგომამ, RFSU-სთან თამაშრომლობით, ჩაატარა ორდღიანი სამუშაო შეხვედრა RFSU-ს პარტნიორი ორგანიზაციებისათვის. შეხვედრის მთავარი მიზანი იყო ყოვლისმომცველი სექსუალური განათლების ამჟამინდელი მდგომარეობის მიმოხილვა საქართველოში და იმ გზების იდენტიფიცირება, რომლებითაც თითოეულ RFSU-ს პარტნიორს შეუძლია ყოვლისმომცველი სექსუალური განათლების დანერგვის პროცესში წვლილის შეტანა, იმ საკითხებიდან გამომდინარე, რომლებზედაც ისინი მუშაობენ. სამუშაო შეხვედრა ძალიან ინტერაქტიური და ინტენსიური იყო, თითოეულმა მონაწილემ ორგანიზაციამ ღირებული წვლილი შეიტანა მის მიმდინარეობაში. შეხვედრის შედეგად, მონაწილეებმა შეიმუშავეს ყოვლისმომცველი სექსუალური განათლების - როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური - დანერგვის პროცესში თავისი პოტენციური ჩართულობის ერთობლივი გეგმები.




RFSU-ს პარტნიორების სამუშაო შეხვედრა სექსუალური განათლების საკითხებზე

1.3 სგგი-ის, აივ/შიდსის, ტუბერკულოზის, ვირუსული ჰეპატიტების და რეპროდუქციული სისტემის ონკოლოგიური დაავადებების პრევენცია მოწყვლად პოპულაციებში

სარისკო პოპულაციებში აივ/შიდსისა და სგგი-ის პრევენციის პროექტების შედეგები: 2019 წელს პრევენციული სერვისების ხელმისაწვდომობა შენარჩუნებული იყო ხუთ ქალაქში (თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, ზუგდიდი, თელავი) და აივ/სგგი/ტბ სერვისების მიეწოდებოდა

სარისკო პოპულაციებს (მსმ, სექს-მუშაკი ქალები, პატიმრები). მთავარი რაოდენობრივი შედეგები მსმ-ებსა და სექს-მუშაკებში შემდეგია:



გარდა ამისა, პრევენციული პაკეტის სხვა აქტივობების ფარგლებში: 140 მსმ-მა და სექს-მუშაკმა მიიღო მონაწილეობა თანასწორთა განათლების ტრენინგებში; მსმ-ებსა და სექს-მუშაკ ქალებში გავრცელდა 19163 საინფორმაციო მასალა და 535179 კონდომი და ლუბრიკანტი.

რაც შეეხება თანადგომას პრევენციულ მუშაობას პენიტენციურ სისტემაში, ნკტ სერვისებით მოცული იყო 5570 პატიმარი და 24 თვითდახმარების ჯგუფური შეხვედრა ჩატარდა აივ დადებითი პატიმრებისათვის. აღსანიშნავია, რომ აივ/შიდსის ეროვნული სტრატეგიის მიხედვით, საფეხურეობრივად მიმდინარეობს გლობალური ფონდის დაფინანსებიდან სახელმწიფო დაფინანსებაზე გადასვლა. ამ პროცესის თანახმად, აივ პრევენცია პენიტენციურ დაწესებულებებში უნდა გადავიდეს სახელმწიფო დაფინანსებაზე 2020 წლიდან. თუმცა, არ არის ნათელი, სრულად დაფარავს თუ არა სახელმწიფო დაფინანსება აივ-ზე ტესტირების საჭიროებას. თანადგომას დაწყებული აქვს მოლაპარაკებები შიდსის ჯანდაცვის ფონდთან (AIDS Healthcare Foundation, AHF), ახალ დონორ ორგანიზაციასთან, რომელიც შემოდის ქვეყანაში, და რომელმაც გამოთქვა ინტერესი, მხარი დაუჭიროს პენიტენციურ სისტემაში აივ/შიდსზე მუშაობას მომავალი წლების განმავლობაში.

ტუბერკულოზის პრევენცია და მკურნალობის დამყოლობა: გლობალური ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „სენსიტიური და რეზისტენტული ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტების მხარდაჭერა მკურნალობაზე დამყოლობის გაუმჯობესების მიზნით“ ფარგლებში თანადგომამ, შესაბამისი ექსპერტების ჩართულობით, შეიმუშავა დამყოლობის ახალი პროტოკოლი ტუბერკულოზით დაავადებული ადამიანებისათვის. ახალი პროტოკოლის მიხედვით, 2019 წელს თანადგომამ სერვისები გაუწია და რელევანტურ სერვისებში გადაამისამართა 104 პაციენტი ტუბერკულოზის სენსიტიური ფორმით და 139 პაციენტი რეზისტენტული ფორმით. მათგან 34-მა პაციენტმა უკვე დაასრულა მკურნალობა, 3-მა - შეწყვიტა მკურნალობა და 206 აგრძელებს მკურნალობას. გარდა ამისა, პროექტის ფარგლებში, ჩატარდა 18 საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრა ტუბერკულოზის პაციენტებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის. სულ 187 ადამიანმა მიიღო მონაწილეობა ამ შეხვედრებში.

შიდსის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება: შიდსის ჯანდაცვის ფონდმა მხარი დაუჭირა თანადგომას ინიციატივას, ჩატარებინა შიდსის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ღამის კლუბ „ხიდთან“ თანამშრომლობით. „ხიდთან“ თანადგომა უკვე ორი წელია თანამშრომლობს და ატარებს აივ-პრევენციულ ქვარებისადმი მეგობრულ ღონისძიებებს. შიდსის ჯანდაცვის ფონდმა თანადგომას გაუწია ფინანსური მხარდაჭერა, მიაწოდა აივ-ტესტები, კონდომები და ლუბრიკანტები. ღონისძიებას 1000-ზე მეტი ბენეფიციარი დაესწრო.



შიდსის მსოფლიო დღე 2019

სიმპოზიუმი “მეცნიერული მიდგომების გამოყენება აივ-ის ეპიდემიის დასასრულებლად აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში”: შიდსის საერთაშორისო საზოგადოების (IAS) საგანმანათლებლო ფონდმა, თანადგომასთან თანამშრომლობით, ჩაატარა სამეცნიერო სიმპოზიუმი თბილისში. სიმპოზიუმის დროს მოხდა შიდსის 22-ე საერთაშორისო კონფერენციის საკვანძო მეცნიერული და პოლიტიკის შინაარსის, ასევე იმპლემენტაციური მეცნიერების პრიორიტეტების გაზიარება და განხილვა. ღონისძიებას 80-ზე მეტი მონაწილე დაესწრო, მათ შორის სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები. წარდგენილი სპეციფიკური საკითხები მოიცავდა პრევენციებსა და დისკუსიებს ექსპოზიციის წინა პროფილაქტიკისა და სხვა ინოვაციური პრევენციული მეთოდების, აივ-ის, ტუბერკულოზისა და ჰეპატიტის პრევენციისა და მკურნალობის ინტეგრირებული მიდგომების, ზიანის შემცირების სერვისების ინოვაციური განვითარების და სტიგმისა და დისკრიმინაციის შემცირების სტრატეგიების შესახებ. ამ კონკრეტული საკითხების მიხედვით განხილული იყო მეცნიერული კვლევების შედეგები, რაც წვლილს შეიტანს აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში პოლიტიკისა და პროგრამების გაუმჯობესებაში.



სიმპოზიუმი “მეცნიერული მიდგომების გამოყენება აივ-ის ეპიდემიის დასასრულებლად აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში”, 2019 ივნისი, თბილისი

1.4. ოჯახის დაგეგმვის პოპულარიზაცია

დკსჯეც-თან თანამშრომლობა: 2019 წლის განმავლობაში თანადგომა აგრძელებდა დკსჯეც-ისათვის ტექნიკური დანმარების გაწევას „დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის 2017-2030 წლების ეროვნული სტრატეგიის“ სამოქმედო გეგმის კომუნიკაციის სტრატეგიის დაგეგმვასა და

განხორციელებაში. თანადგომამ უზრუნველყო ოჯახის დაგეგმვის შესახებ საინფორმაციო მასალების თარგმანი სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. მასალები გადაეცა დსკჯეც-ს შემდგომი ბეჭდვისა და გავრცელებისათვის ეთნიკურ უმცირესობებს შორის.

გარდა ამისა, თანადგომამ მოამზადა და ჩატარა 4 საგანმანათლებლო ტრენინგი ოჯახის დაგეგმვის საკითხებზე სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის, ასევე მედიის წარმომადგენლებისათვის ეთნიკური უმცირესობების (სომხები და აზერბაიჯანლები) დასახლებებში.

თანადგომა აგრძელებდა ოჯახის დაგეგმვის საკითხებზე შექმნილი მობილური ტელეფონის აპლიკაციის „ჩემი კალენდარი“ რეკლამირებას სოციალურ მედიაში და საჯარო ღონისძიებებზე. აპლიკაცია განახლდა აიფონის მომხმარებლებისათვის. თანადგომას ექსპერტები მიწვეულნი იყვნენ სხვადასხვა მედიასაშუალებებში (ტელეარხები: რუსთავი 2, ობიექტივი, კავკასია; რადიოარხები: „იმედი“, „პალიტრა“, და სხვ), რათა ესაუბრათ ოჯახის დაგეგმვის საკითხებზე. რადიო „იმედთან“ თანამშრომლობის ფარგლებში ჩატარდა ამ საკითხებისადმი მიძღვნილი 4 თოქ-შოუ.

მედია კონკურსი: 2019 წლის ზაფხულში თანადგომამ გამოაცხადა მედია კონკურსი ჟურნალისტებისათვის (ნაბეჭდი და ინტერნეტ-მედიის, ასევე ტელევიზიების წარმომადგენლებისათვის) საუკეთესო მედიამასალის გამოვლენის მიზნით ოჯახის დაგეგმვის საკითხებზე. შესარჩევი კომისია შედგებოდა ორი მედია ექსპერტისა (2 ჟურნალისტი) ერთი თანადგომის წარმომადგენლისაგან. კომისიის მიერ შემუშავებულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით 21 შემოსული განაცხადიდან გამოვლინდა 7 გამარჯვებული: 2 სატელევიზიო მასალისათვის და 5 - ინტერნეტ/ნაბეჭდი მასალისათვის. აღსანიშნავია, რომ ნაბეჭდი-ინტერნეტ მედიისათვის განკუთვნილი მესამე ადგილი გაიყო კონკურსის სამმა მონაწილემ, წარმოდგენილი მასალის მაღალი ხარისხიდან გამომდინარე. დაჯილდოების ოფიციალური ღონისძიება ჩატარდა 2019 წლის 17 დეკემბერს.

1.5. გენდერული ძალადობისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრის ხელშეწყობა მოწყვლადი ქალებისათვის საქართველოში

ქალთა კლუბი: პროექტის „აღმოფხვრათ ხარვეზები, ფაზა 2: ჯანმრთელობა და უფლებები სარისკო პოპულაციებისათვის“ ფარგლებში დაარსდა ქალთა კლუბი ნარკომომხმარებელი ქალებისათვის. კლუბის მიზანია, გაუმჯობესდეს ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა ნარკომომხმარებელი ქალებისათვის. 2019 წლის განმავლობაში ქალთა კლუბის მონაწილეებმა 10 შეხვედრა ჩაატარეს, რომელთა დროსაც განიხილავდნენ აქტუალურ საკითხებს, როგორიცაა ნარკომომხმარებელი ქალების მიმართ არსებული სტიგმა და დისკრიმინაცია, როგორ გაუმჯობესდეს ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობა და ა.შ.

ამავე პროექტის ფარგლებში 87-მა ქალმა ბენეფიციარმა მიიღო სამედიცინო, ფსიქოლოგიური და იურიდიული სერვისები თანადგომის სოციალურ ბიუროში. მათგან 70 ახალი ბენეფიციარი იყო, რომლებიც პროექტმა მოიზიდა. გარდა ამისა, 27-მა ქალმა მომხმარებელმა მიიღო გენდერ-სპეციფიური სერვისი, როგორიცაა მამოგრაფია, გინეკოლოგიის კონსულტაცია, პაპ ტესტი, ექსკოპიური გამოკვლევა და სხვა.

სერვისები ძალადობის მსხვერპლთათვის: ევროკავშირის მიერ დაფინანსებული მეორე, თანადგომისა და საიას მიერ განხორციელებული პროექტის ფარგლებში, გენდერული ძალადობის მსხვერპლი 151 ქალი იქნა მოცული საქართველოს 5 ქალაქში. ყველა ბენეფიციარმა მიიღო სერვისები მათი საჭიროებების მიხედვით, ისეთი, როგორიცაა ფსიქოლოგიური მხარდაჭერა და კონსულტირება, სამედიცინო და იურიდიული სერვისები.

ტრენინგები ძალადობის მსხვერპლთათვის: 2019 წლის განმავლობაში, ფონდი ღია საზოგადოების მიერ დაფინანსებული ინიციატივის ფარგლებში, შემუშავდა 2 ტრენინგ-მოდული გენდერული ძალადობის მსხვერპლი ქალებისათვის: „ადვოკაცია და სათემო მობილიზაცია“ და „ადამიანის უფლებები და ძალადობა“. ეს ტრენინგები ჩატარდა თემის 15 აქტივისტის - გენდერული ძალადობის მსხვერპლი ქალის მონაწილეობით. აღნიშნული პროექტი

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის გაგრძელებას წარმოადგენს, რომლის ფარგლებშიც ჩამოყალიბდა მოწყვლადი ქალების საინიციატივო ჯგუფი. ამდენად, ფონდი ღია საზოგადოების მიერ მხარდაჭერილმა ინიციატივამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მანამდე სხვა პროექტში შექმნილი ქალთა საინიციატივო ჯგუფის მდგრადობასა და უნარების განვითარებაში.



ტრენინგი მოწყვლადი ქალების საინიციატივო ჯგუფისათვის

1.6. ტექნიკური მხარდაჭერის გაწევა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხებში სათემო და სამოქალაქო ორგანიზაციებისათვის

ტუბერკულოზის პაციენტების სათემო ორგანიზაციის მხარდაჭერა: გლობალური ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „სენსიტიური და რეზისტენტული ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტების მხარდაჭერა მკურნალობაზე დამყოლობის გაუმჯობესების მიზნით“ ფარგლებში თანადგომამ მხარდაჭერა გაუწია ტუბერკულოზის სფეროში მომუშავე პირველ სათემო ორგანიზაციას „პაციენტთა კავშირი“ სათემო მობილიზაციისა და გაძლიერების მხრივ. ჯამში, თანადგომას მენეჯმენტით ქვეშ, პროექტში ჩართულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, ტუბერკულოზით დაზარალებულმა 107-მა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა ლიდერობის, სათემო მობილიზაციისა და აქტივიზმის ტრენინგებსა და შეხვედრებში. გარდა ამისა, შესწავლილ იქნა სათემო ორგანიზაციების საჭიროებები და შემუშავდა „პაციენტთა კავშირის“ განვითარების სამოქმედო გეგმა. ასევე, ორგანიზაციას ჩაუტარდა უნარების განვითარების ტრენინგი და განხორციელდა ორგანიზაციული განვითარების შუალედური და საბოლოო შეფასება.

ტრანს ადამიანების, ასევე აივ დადებითი გეი და ბისექსუალი მამაკაცების მხარდაჭერა: პროექტის „თემების გაძლიერება ჯანმრთელობის უფლებისათვის“ ფარგლებში, რომელსაც აფინანსებდა გლობალური ფონდი და მამაკაცთა ჯანმრთელობის ევრაზიის კოალიცია, თანადგომამ ჩაატარა გარკვეული ღონისძიებები ყურადღების მიღმა დარჩენილი ისეთი ჯგუფებისათვის, როგორიცაა ტრანს ადამიანები, აივ დადებითი გეი და ბისექსუალი მამაკაცები. კერძოდ, ჩატარდა უნარების გაძლიერების 8 ტრენინგი, 2 ღონისძიება „ცოცხალი ბიბლიოთეკა“ და „საკვირაო სკოლის“ 14 ლექცია. ჯამში, ზემოთ ხსენებული თემების 437 წარმომადგენელმა მიიღო ღონისძიებებში მონაწილეობა და გაიუმჯობესა ცოდნა და უნარები.

ტრანს ადამიანების სათემო ორგანიზაციის მხარდაჭერა: ანგარიშგების პერიოდის განმავლობაში, ევრაზიის სარისკო პოპულაციების ქსელის მცირე დაფინანსებით, თანადგომამ ტრანს სათემო ორგანიზაციას „თემიდა“ გაუწია ტექნიკური და ექსპერტული მხარდაჭერა. თანადგომას დახმარებით, „თემიდამ“ შეიმუშავა სტრატეგიული გეგმა, შეცვალა და იურიდიულად დაარეგისტრირა ორგანიზაციის წესდება საჯარო რეესტრის ეროვნულ

სააგენტოში. გარდა ამისა, 20 ტრანს ქალი აქტივისტი და „თემიდას“ შტატი დატრენინგდა აივ-ის, რისკის შემცირების, ადამიანის უფლებების, ლიდერობის და კომუნიკაციის უნარების საკითხებზე. თანადგომას მხარდაჭერით, „თემიდამ“ შეძლო მცირე გრანტის მიღება ფონდი ღია საზოგადოებისაგან საქართველოში ტრანს თემის ხილვადობის გაზრდისათვის.

სერვისის მიმწოდებლების ტრენინგი ინტეგრირებულ სრჯ და აივ-თან დაკავშირებული სერვისების მიწოდების საკითხზე: თანადგომა აგრძელებდა უნარების განვითარების ტრენინგების ჩატარებას სრჯ/აივ-პრევენციის საკითხებზე მომუშავე სერვისის მიმწოდებლებისათვის, რათა გაუმჯობესდეს ინტეგრირებული სრჯ/ოჯახის დაგეგმვის, აივ-პრევენციული და გენდერული ძალადობის საპასუხო სერვისების მიწოდება სარისკო პოპულაციებისათვის. ტრენინგები შეესაბამებოდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიერ აკრედიტებულ (<http://sms.tsmu.edu/ssms/cme/>) ონლაინ ტრენინგ მოდულს „აივ-ის პრევენცია და სრჯ სერვისის მიწოდების სტანდარტები სარისკო პოპულაციებისათვის“, რომელიც ეფუძნება სახელმძღვანელო ინსტრუმენტებს - SWIT, MSMIT, TRANSIT, "ჯანმრთელობა, უფლებები და კეთილდღეობა" - და შემუშავებულია გაეროს მოსახლეობის ფონდის, დაავადებათა კონტროლის ცენტრის, შიდსის ცენტრისა და თანადგომას მიერ. ტრენინგების მთავარი მიზანი იყო სათემო ორგანიზაციების, ზიანის შემცირების ქსელის სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციების, ახალგაზრდული ორგანიზაციების, ახალგაზრდა სარისკო პოპულაციების და სერვისის მიმწოდებლების/სავლე მუშაკების უნარების გაძლიერება სარისკო პოპულაციებისათვის, მათ შორის ახალგაზრდებისათვის, აივ-პრევენციული და სრჯ სერვისების მიწოდებაში. ჯამში, ტრენინგების/სამუშაო შეხვედრების შედეგად მოცული იყო 15 ორგანიზაციის 60 წარმომადგენელი 6 სხვადასხვა ქალაქიდან: თბილისი, რუსთავი, გორი, ქუთაისი, ბორჯომი და ახალციხე.

სარისკო პოპულაციების გუნდის შეკვრა: გლობალური ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის "დაჩქარებული პასუხი ტუბერკულოზსა და აივ-ზე სარისკო პოპულაციებისათვის აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქალაქებში" ფარგლებში, 2019 წლის დეკემბერში თანადგომამ ორგანიზება გაუკეთა 2-დღიან გუნდის შეკვრის და უნარების განვითარების შეხვედრას სარისკო პოპულაციების წარმომადგენლებისათვის. მსმ, სექს-მუშაკებისა და ნარკომომხმარებლების თემის 25 წარმომადგენელი შეიკრიბა სასტუმრო „ამბასადორი კაჭრეთში“, კახეთის რეგიონში. შეხვედრის დროს დაიგეგმა თემებს შორის მომავალი თანამშრომლობის გზები ერთობლივი ადვოკაციის მხრივ. გარდა ამისა, განხილულ იქნა თითოეული თემის სტრატეგიული ხედვა და თემის გაძლიერებისა და განვითარების სტრატეგიები.

ქალი სექს-მუშაკებისა და ნარკომომხმარებლების საინიციატივო ჯგუფის მხარდაჭერა: ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „მოწყვლადი ქალების გაძლიერების დისკრიმინაციის დაძლევისათვის“ დასრულების შემდეგ თანადგომამ, თბილისში დაფუძნებულ საინიციატივო ჯგუფთან ერთად, განაგრძო აქტიური ადვოკაცია ამ ჯგუფის მხარდაჭერის გაგრძელებისათვის. ერთობლივი ძალისხმევის შედეგად, შესაძლებელი გახდა მათი მხარდაჭერა ღია საზოგადოების ფონდისათვის განაცხადის მომზადებაში. განაცხადი დაფინანსდა და შედეგად მიმდინარეობს პროექტი, რომელსაც თანადგომა და ეს საინიციატივო ჯგუფი ერთობლივად მართავს. პროექტი ემყარება საინიციატივო ჯგუფის მიერ იდენტიფიცირებულ სტრატეგიულ პრიორიტეტებს.

ტექნიკური დახმარების გაწევა რეგიონის დონეზე: თანადგომას ექსპერტებმა ტექნიკური მხარდაჭერა გაწიეს არა მარტო საქართველოში, არამედ აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის სხვა ქვეყნებშიც:

- თანადგომას ექსპერტმა ტექნიკური დახმარება გაუწია მოლდოვის სახელმწიფო ორგანიზაციებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შეფასების „სარისკო პოპულაციების არასამთავრობო და სპეციფიკურ სამედიცინო სერვისებში მოზიდვის ძირითადი ბარიერების იდენტიფიცირება მოლდოვაში“ ჩატარებაში, რასაც მოჰყვა უნარების გაძლიერება აღნიშნული ორგანიზაციებისათვის.

- თანადგომას მეორე ექსპერტი კოორდინაციასა და ფასილიტაციას უწევდა აივ-ისა და სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხებზე სარისკო პოპულაციებს შორის (მსმ და ტრანს ადამიანები) სტრატეგიული ინფორმაციის საკითხებზე რეგიონულ მრჩეველთა ჯგუფს ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში, ფოკუსით სომხეთზე, ბელარუსზე, საქართველოზე, ყირგიზეთზე, უკრაინასა და მაკედონიაზე. ამასთან ერთად, თანადგომას ექსპერტები ჩართულნი იყვნენ რეგიონულ კვლევებში, როგორიცაა „სტრატეგიული ინფორმაციის შეფასება“ და „ტრანს და მსმ თემების ჩართულობის შეფასება აივ-თან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში“ ზემოთ ხსენებულ ქვეყნებში.

1.7. სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხებზე ხარისხობრივი და რაოდენობრივი კვლევების ჩატარება

ფსიქიკური ჯანმრთელობა და სრჯუ: ანგარიშგების პერიოდში ჩატარდა მოსამზადებელი სამუშაოები ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პაციენტებში სრჯუ საჭიროებების შეფასებისათვის. შეხვედრების დროს სრჯუ ექსპერტებმა და ფსიქიკური ჯანმრთელობის ექსპერტებმა განიხილეს ასეთი პაციენტებისათვის ძირითადი სრჯუ პრობლემები და სრჯუ სერვისებზე ხელმისაწვდომობის მთავარი ბარიერები. შეხვედრების მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ ჩატარდეს არსებული ლიტერატურის და საუკეთესო პრაქტიკის მაგალითების მიმოხილვა ამ ორი სფეროს გადაკვეთის შესასწავლად. შემდგომი კვლევის ინსტრუმენტის შექმნა და კვლევის ჩატარება დაგეგმილია 2020 წელს.

საქართველოში ახალგაზრდებისათვის აივ-ტესტირების ხელმისაწვდომობის ბარიერებისა და ქცევის შეცვლის მიგნებების ხარისხობრივი კვლევა: 2019 წლის ოქტომბერ-დეკემბერში თანადგომამ, გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისის დახმარებით, ჩატარა კვლევა „საქართველოში ახალგაზრდებს შორის აივ ტესტირებაზე მოთხოვნა და მიმართვალობა“. კვლევის მიზანი იყოს ხელშემშლელი ფაქტორების შესწავლა, მათ შორის გენდერთან დაკავშირებული საკითხებისა, რომლებიც გავლენას ახდენს აივ-ზე ტესტირების მოცვაზე და შედეგად იწვევს აივ-ის გვიან გამოვლენას. კვლევა ჩატარდა საქართველოს 5 ქალაქში - თბილისი, ბათუმი, ზუგდიდი, გორი და თელავი. კვლევის შედეგები ხელმისაწვდომი იქნება 2020 წლის თებერვალში.

საქართველოში სოფლად მცხოვრებ და იძულებით გადაადგილებულ ქალებს შორის მედიკამენტური აბორტის ხელმისაწვდომობის ბარიერების კვლევა: პროექტის „აბორტის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება საქართველოში“ ფარგლებში, რომელსაც აფინანსებს დიადი გამოწვევები კანადა, 2020 წელს დაგეგმილია სოფლად მცხოვრებ და დევნილ ქალებს შორის თვისებრივი კვლევის ჩატარება. კვლევის მიზანია შეფასდეს მედიკამენტური აბორტის ხელმისაწვდომობის ბარიერები და პრობლემები სოფლად მცხოვრებ და დევნილ ქალებს შორის. 2019 წლის ნოემბერ-დეკემბერში კვლევის დაგეგმვისათვის ჩატარდა მოსამზადებელი სამუშაოები. კვლევის ველი და მონაცემების ანალიზი დაგეგმილია უშუალოდ 2020 წელს.

არსებული აივ-სერვისების შეფასება თემის წარმომადგენლების მიერ: Solidarite Sida-ს მიერ დაფინანსებული პროექტის „აივ-ის პრევენციის, მკურნალობისა და მხარდაჭერის სერვისებში ჩართვის გაუმჯობესება მსმ-ებისათვის საქართველოში - ფაზა II“, თანადგომას თბილისის, ბათუმისა და ქუთაისის განყოფილებებში ჩატარდა კვლევა „არსებული აივ-სერვისების შეფასება თემის წევრების მიერ“. კვლევის მიზანი იყო მსმ-ების კმაყოფილების განსაზღვრა მიწოდებული სერვისებით და აივ-სერვისების ადაპტაციის ხელშეწყობა მსმ/ლგბტ ბენეფიციარების საჭიროებებზე. თანადგომას ექსპერტებმა შეიმუშავეს ნახევრად სტრუქტურირებული კვლევის კითხვარი. კვლევის ველი ჩატარდა 2019 წლის ივნისიდან ნოემბრის ჩათვლით მსმ მენტორების მიერ, რომლებიც მომზადდნენ ამავე პროექტის ფარგლებში.

სტრატეგიული მიზანი 2

ფსიქოსოციალური რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის სერვისების უკეთესი ხელმისაწვდომობის მხარდაჭერა მოწყვლადი პოპულაციებისათვის.

ამოცანები:

2.1. მდგრადი და რეგულარული ფსიქოსოციალური სერვისების უზრუნველყოფა მოწყვლადი პოპულაციებისათვის

სოციალური საწარმო TG Promo: 2019 წელს თანადგომას სოციალური საწარმო TG Promo აგრძელებდა ფუნქციონირებას, მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის დაფინანსება დასრულდა ივლისში. ჯამში, TG Promo-ში დასაქმებული იყოს 4 ბენეფიციარი (ნარკომოხმარების ისტორიით) და საწარმომ მიიღო 18 შეკვეთა (როგორც კომპანიებისგან/ორგანიზაციებისგან, ისე ინდივიდებისგან).

პრომო მასალების შექმნასთან ერთად, თანადგომას არტ თერაპია განვითარდა, როგორც საწარმოს პროდუქციის მეორე ხაზი.



არტ თერაპიის პროდუქციის გამოფენა

თანადგომას არტ თერაპიის ნამუშევრების გამოფენა ჩატარდა სასტუმრო „იოტაში“, 2019 წლის 11 მაისს, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის შემაჯამებელი შეხვედრის დროს. გამოფენილი და გაყიდული იყო თიხის ნამუშევრები თბილისის სოციალური საწარმოდან, რეაბილიტაციის ცენტრიდან, გეგუთისა და ქსნის ციხეებიდან. შედეგად მიღებული თანხა საქველმოქმედო მიზნებს მოხმარდა.



თიხის სახელოსნო გრემში

გრემის სარეაბილიტაციო ცენტრი: 15 ახალმა ბენეფიციარმა ჩაიტარა და დაასრულა სარეაბილიტაციო კურსი გრემის ცენტრში (სარეაბილიტაციო კურსის მინიმალური ხანგრძლიობაა 1 თვე, მაქსიმალური - 3 თვე). მანამდე, 2018 წელს, დაგეგმილი იყო ცენტრის მესამე სართულის რემონტი, მაგრამ 2019 წლის განმავლობაში თანადგომამ ვერ მოახერხა ამისათვის საჭირო თანხების მობილიზება. მესამე სართული დალუქულია და პროგრამული აქტივობები მიმდინარეობს ცენტრის პირველ და მეორე სართულებზე, ასევე, თიხის საამქროში, ცენტრის ეზოში.

ანგარიშგების პერიოდში, პროექტის „ადმოვფხვრათ ხარვეზები“, შეიქმნა სათემო მრჩეველთა საბჭო, სადაც შედის თემის 5 წევრი - 3 ქალი და 2 კაცი. თემის წევრებმა ჩაატარეს მონიტორინგის შეხვედრების გრემის ცენტრში და შეიმუშავეს რეკომენდაციების სია, რათა ცენტრის მუშაობა გაუმჯობესდეს და მეტად მოერგოს ბენეფიციარების საჭიროებებს.



გრემის ცენტრი 2019 წლის შემოდგომაზე

სათემო მრჩეველთა საბჭოს მონიტორინგის ვიზიტი გრემში

სოციალური ბიუროები: თანადგომას ოთხი სოციალური ბიურო, განლაგებული საქართველოს ოთხ ქალაქში (თბილისი, ბათუმი, ქუთაისი და ზუგდიდი), განაგრძობდა უფასო ფსიქოსოციალური და სამედიცინო სერვისების მიწოდებას პატიმრების, ყოფილი პატიმრებისა და პრობაციონერების, მათ შორის ნარკომომხმარებლების, რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის მიზნით. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, თანადგომას სოციალურმა ბიუროებმა და პარტნიორმა ორგანიზაციებმა მიაწოდეს 3923 სხვადასხვა ტიპის მომსახურება (სამედიცინო, ფსიქოლოგიური, სოციალური და იურიდიული) 483 ბენეფიციარს (ყოფილი პატიმრები, ნარკომომხმარებლები, პრობაციონერები და მათი ოჯახის წევრები).

2.2. მდგრადი და რეგულარული ფსიქოსოციალური სერვისების ინსტიტუციონალიზაციის ხელშეწყობა მოწყვლადი პოპულაციებისათვის

ციხეებში გაუმჯობესებული სერვისების ადვოკატირება: 2019 წელს ციხეებში მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა შეადგინეს საადვოკაციო წერილი იუსტიციის სამინისტროსთვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2019 წლის თებერვალში სასჯელაღსრულების სამინისტრო შეუერთდა იუსტიციის სამინისტროს და გარდაიქმნა სპეციალურ პენიტენციურ დეპარტამენტად. წერილი მოიცავდა პატიმრებისათვის სერვისების ხელმისაწვდომობის საკითხებზე სხვადასხვა კვლევების მიგნებებსა და შედეგებს. თანადგომას ნაწილი მოიცავდა გარდამავალი მენეჯმენტის კვლევის მიგნებებსა და რეკომენდაციებს. წერილს ხელი არაერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ მოაწერა და ის შეტანილ იქნა სამინისტროში.

ამის შემდგომ თანადგომამ ჩაატარა პოლიტიკის დიალოგის შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების, ისე EU4Justice პროგრამის წარმომადგენლები და ექსპერტები. ამ უკანასკნელების კომპეტენციაა პენიტენციური სისტემისათვის რეკომენდაციების გაწევა. შედეგად, თანადგომას მიერ მიწოდებული ყველა რეკომენდაცია შეტანილ იქნა იუსტიციის სამინისტროს „სასჯელაღსრულებისა და დანაშაულის პრევენციის სისტემის განვითარების 2019-2020 წლების სამუშაო გეგმაში“.

გარდა ამისა, 2019 წლის განმავლობაში, ჩატარდა შეხვედრების სპეციალური პენიტენციური დეპარტამენტის სოციალური სერვისების განყოფილებასთან, რათა მომხდარიყო არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სამინისტროს შორის ინფორმაციის გაცვლა და სერვისების კოორდინაცია.



ევროკავშირის მიერ დაფინანსებული სარეაბილიტაციო პროექტის დახურვის ღონისძიება

ტუბერკულოზზე კონსულტირების პროტოკოლი: 2019 წელს თანადგომამ შეიმუშავა ციხის პერსონალისათვის პროტოკოლი “ტუბერკულოზის კონსულტირების პროტოკოლი გათავისუფლებამდე”, რათა უზრუნველყოფილი იყოს ტუბერკულოზის პაციენტების მიდევნება და მკურნალობის დამყოლობა გათავისუფლების შემდეგ. თანადგომამ ჩაატარა ხუთი ტრენინგი პენიტენციური სისტემის 48 თანამშრომლისათვის (სოციალური, სამედიცინო) მკურნალობის დამყოლობის პროტოკოლისა და კონსულტირების უნარების თემატიკაზე.

რეაბილიტაციის კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება: პროექტის „ადმოფხვრათ ხარვეზები“ ფარგლებში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი რეაბილიტაციის კონცეფციისა და სამუშაო გეგმის შემუშავების მიზნით. სამუშაო ჯგუფი შედგებოდა ნარკოლოგიური კლინიკებისა და ამბულატორიული სარეაბილიტაციო ცენტრების წარმომადგენლებისაგან. ჯგუფმა რამდენიმე შეხვედრა ჩაატარა, შემდეგ კი წარადგინეს შემუშავებული დოკუმენტები კაჭრეთში გამართულ შეხვედრაზე, რომელსაც ასევე ესწრებოდა ჯანდაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი ზოიძე. ბატონმა ზოიძემ სრული მხარდაჭერა გამოუცხადა მიმდინარე პროცესს და შეპირდა სამუშაო ჯგუფს, რომ ლობირებას გაუწევდა ამ საკითხს პარლამენტში. მან ასევე რამდენიმე რეკომენდაცია მისცა ჯგუფს, როგორც არის სტანდარტებისა და განფასების შემუშავება რეაბილიტაციის სამოქმედო გეგმის ფარგლებში. შემდეგ კონცეფცია და სამუშაო გეგმა წარედგინა სამოქალაქო საზოგადოების ფართო აუდიტორიას და დაისახა 2020 წლის გეგმები. უნდა აღინიშნოს, რომ 2019 წლის ბოლოსათვის თანადგომამ შეძლო ღია საზოგადოების ფონდისგან ნარკომომხმარებელთა რეაბილიტაციის ადვოკაციისათვის დაფინანსების მოძიება.



სამუშაო ჯგუფის შეხვედრა კაჭრეთში

2.3. ნარკოკანონმდებლობის ცვლილებაში და საქართველოში ნარკომომხმარებლების მიმართ სტიგმის შემცირებაში წვლილის შეტანა

ნარკომომხმარებლების მიმართ არსებული სტიგმის შემცირება: პოლიტიკური მიზნების გამო 2018 წელს საქართველოში შეყვანდა ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციის პროცესი. 2019 წელსაც ამ მიმართულებით პროგრესი არ ყოფილა. თუმცა, თანადგომა, სხვადასხვა პროექტების ფარგლებში, აქტიურად აგრძელებდა წვლილის შეტანას ნარკომომხმარებლების მიმართ სტიგმის შემცირებაში და ზოგადი მოსახლეობის, განსაკუთრებით კი სახელმწიფო წარმომადგენლების სენსიტიზაციის პროცესში.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „გაუმჯობესებული შესაძლებლობები პატიმრების, ყოფილი პატიმრებისა და პრობაციონერების ფსიქოსოციალური რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციისათვის საქართველოში“ ფარგლებში თანადგომამ ჩაატარა კამპანია დევიზით „გავიზიაროთ პასუხისმგებლობა ევროკავშირის დახმარებით - დავაბრუნოთ ადამიანები საზოგადოებაში!“. კამპანიის აქტივობები საქართველოს სამ რეგიონში ჩატარდა - იმერეთში, აჭარაში და სამეგრელოში. კამპანიაში აქტიურად იყვნენ ჩართულები ადგილობრივი მუნიციპალიტეტები, კერძო სექტორის წარმომადგენლები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, პრობაციის ოფისები, ისევე, როგორც პრობაციონერები, ყოფილი პატიმრები და ნარკომომხმარებლების თემის წევრები. კამპანიის ქვეშ სამი ღონისძიება ჩატარდა: მინი-ფეხბურთის ტურნირი ქუთაისში; ხეების დარგვა და საზოგადოებრივი სივრცეების დალაგება - ზუგდიდსა და ბათუმში. კამპანიის შედეგად: მედია აქტიურად აშუქებდა კამპანიას, რამაც გაზარდა რეაბილიტაციის საკითხების ხილვადობა. ასევე, ქუთაისის მუნიციპალიტეტმა განაცხადა, რომ მზად არის, მიიღოს მონაწილეობა სარეაბილიტაციო პროგრამების პოპულარიზაციაში.



მინი-ფეხბურთის მეჯიბრი ქუთაისში

2.4. ტექნიკური მხარდაჭერის გაწევა ფსიქოსოციალური რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის საკითხებზე სათემო და სამოქალაქო ორგანიზაციებისათვის



პროექტის „ადმოვფხვრათ ხარვეზები“ ფარგლებში თანადგომამ ჩაატარა ტრენინგები თემის ლიდერებისათვის და აქტივისტებისათვის ადამიანის უფლებების მონიტორინგის პროცესისა და ადვოკაციის აქტივობების შესახებ. ტრენინგში მონაწილეობა მიიღო ნარკომომხმარებელთა თემის 16-მა ლიდერმა და აქტივისტმა.

2.5. ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხებზე ხარისხობრივი და რაოდენობრივი კვლევების ჩატარება

თვისებრივი კვლევა სარეაბილიტაციო ცენტრის მუშაობის შეფასებისა და ხარვეზების/საჭიროებების იდენტიფიცირებისათვის: თანადგომამ ჩაატარა თვისებრივი კვლევა რეაბილიტაციის ცენტრის ბენეფიციარებსა და შტატში, რათა დაედგინა ბენეფიციარების კმაყოფილება სერვისებით და ბენეფიციართა საჭიროებები, ასევე გამოეკვეთა რეკომენდაციები გაუმჯობესებისათვის და ის ბარიერები, რაც ხელს უშლის სამიზნე პოპულაციას ცენტრის სერვისებით სარგებლობის გზაზე.

კვლევის ძირითადი მიგნებები შემდეგია:

- შტატმა აღნიშნა, რომ ისურვებდნენ ცენტრის პერსონალის გაზრდასა და ცენტრში საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას
- ბენეფიციარების მიერ აღნიშნულ იქნა შემდეგი საჭიროებები: ცენტრის პროგრამული აქტივობების გამდიდრება; ფსიქოლოგიური მხარდაჭერის გაძლიერება; ცენტრში საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.

რაც შეეხება სარეაბილიტაციო სერვისებში ჩართვის ბარიერებს, კვლევა აღმოაჩინა შემდეგი:

- ქვეყანაში იზრდება ნარკოტიკების მიწოდება და რეაბილიტაცია არ მოიაზრება საჭირო სერვისად, რადგან მომხმარებლებს ნარკოტიკებზე ადვილად მიუწვდებათ ხელი
- რეაბილიტაციის პროცესი არ არის პოპულარული ნარკოტიკების მომხმარებლებს შორის, მათ სჯერათ, რომ თავად შეძლებენ ფსიქოლოგიური დამოკიდებულების გადალახვას დეტოქსის კურსის შემდგომ
- არ არსებობს სარეაბილიტაციო პროგრამების ფართო რეკლამირება
- სარეაბილიტაციო სერვისები არ არის ყოვლისმომცველი, რადგან იქ არ არის წარმოდგენილი ფსიქოლოგიური მხარდაჭერა, კონსულტაციები ფსიქიატრთან და სხვ.
- არსებობს გარკვეული სტიგმა რეაბილიტაციასთან დაკავშირებით მომხმარებლებს შორის (ზოგი ფიქრობს, რომ პატიმრობა უკეთესია, ვიდრე სარეაბილიტაციო სერვისებში ჩართვა)

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, თანადგომა გეგმავს გრემის ცენტრში გარკვეული ინოვაციების დანერგვას 2020 წლიდან.

სათემო მრჩეველთა საბჭოს მცირე კვლევა: პროექტის „აღმოვფხვრათ ხარვეზები“ ფარგლებში სათემო საკონსულტაციო საბჭომ ჩაატარა ფოკუსირებული დისკუსია გრემის სარეაბილიტაციო ცენტრის ბენეფიციარებთან. დისკუსია მიზნად ისახავდა მიუკერძოებელი უკუკავშირის მიღებასა და საჭიროებების იდენტიფიცირებას. ძირითადი საჭიროებები, რასაც ბენეფიციარებმა გაუსვეს ხაზი, არის ცენტრში ბიბლიოთეკისა და ტელევიზორის ქონა სარეკრეაციო მიზნებისათვის. 2020 წლისათვის თანადგომამ შეძლო, მოეგრძებინა გარკვეული რაოდენობის წიგნები ბიბლიოთეკისათვის და, ასევე, ტელევიზორით უზრუნველყო ცენტრის საერთო ოთახი.

სტრატეგიული მიზანი 3

ორგანიზაციის ფუნქციონირების მდგრადობის უზრუნველყოფა სისტემების გაუმჯობესების, ადამიანური რესურსების განვითარებისა და დაფინანსების წყაროების დივერსიფიცირების გზით.

ამოცანები:

1.2. ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მხარდაჭერა

შტატის განვითარება: თანადგომას შტატი წლის განმავლობაში სარგებლობდა ყველა შესაძლებლობით, რომ გაეძლიერებინა თავისი უნარები და შესაძლებლობები, შესაბამისად, მონაწილეობდა როგორც შიდა, ისე გარე ტრენინგებში, კონფერენციებსა და სამუშაო

შეხვედრებში. ჯამში, თანადგომას 10-მა თანამშრომელმა მიიღო მონაწილეობა სხვადასხვა რეგიონულ და საერთაშორისო ღონისძიებებში, რომელთა სიაც მოყვანილია ქვემოთ:

- HepHIV2019 კონფერენცია “დროული და ინტეგრირებული ტესტირებისა და ზრუნვის გამოწვევები”, ბუქარესტში, რუმინეთი.
- ზიანის შემცირების 26-ე საერთაშორისო კონფერენცია. პორტო, პორტუგალია.
- “Fast-track Cities 2019”, ლონდონი, გაერთიანებული სამეფო.
- სასწავლო ვიზიტი “ზიანის შემცირებისადმი მეგობრული რეაბილიტაცია”, ამსტერდამი, ნიდერლანდები.
- „კანონის რეფორმა და კომუნიკაციის სტრატეგიები სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებებისათვის; ტრანსფორმაციული პარტნიორობის შენება სრულ და გენდერული თანასწორობის მიღწევისათვის“, სოფია, ბულგარეთი.
- სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ტუბერკულოზისა და აივ-ის სათემო ქსელის პირველი შეხვედრა. პოდგორიცა, მონტენეგრო.
- პროექტის „ადმოვფხვრათ ხარვეზები“ სამომდგომო რეგიონული სკოლა, ყაზახეთი.
- სემინარი ტრანზიციის პოლიტიკის საკითხებზე “აივ-ისა და სხვა ჯანმრთელობის პროგრამების მდგრადი დაფინანსების გაკვეთილები და სტრატეგიები“. ზალცბურგი, ავსტრია.
- გლობალური კონსულტაცია "სამოქალაქო საზოგადოების სერვისების მიწოდების საჯარო დაფინანსება აივ-ზე, ტუბერკულოზსა და მალარიაზე ეროვნულ პასუხებში“, სტამბული, თურქეთი.
- ქალაქების ჯანმრთელობის ლიდერობის ფორუმი, კიევი, უკრაინა.
- “ხარისხის გაუმჯობესების სამუშაო შეხვედრა ქიმიკესისა და კომბინირებული პრევენციის ინტერვენციებში“, ბერლინი, გერმანია.
- მესამე რეგიონული კონსულტაცია აივ-ის საკითხებზე მსმ-ებსა და ტრანს ადამიანებში აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში, ტალინი, ესტონეთი.
- “ყოვლისმომცველი სექსუალური განათლების ჩემპიონების სამუშაო შეხვედრა“. ტირანა, ალბანეთი.
- უფლებებზე სენსიტიზაციის ტრენინგი. ერევანი, სომხეთი.
- ნაირობის სამიტი ICPD25. ნაირობი, კენია.
- კონფერენცია “აღმოსავლეთ ევროპაში აივ-ით მცხოვრები ქალების უფლებებისა და შესაძლებლობების გაზრდა“, მინსკი, ბელარუსი.

ასევე, თბილისისა და რეგიონული ოფისების 27 შტატის წევრმა გაიარა ტრენინგები სხვადასხვა საკითხზე (ახალგაზრდა სარისკო პოპულაციები, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები, თვისებრივი კვლევის ჩატარება - ფოკუსირებული დისკუსიები და ჩადრმავებული ინტერვიუები, სოციალური კონტრაქტირება და სხვა), რომლებიც ჩაატარეს როგორც თანადგომამ, ასევე სხვა ორგანიზაციებმა.

2019 წლის განმავლობაში თანადგომაში გრძელდებოდა **სტაჟირების პროგრამა**. ჯამში 7-მა სტაჟიორმა გაიარა პრაქტიკა. სტაჟიორები იყვნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტიდან.

3.2. ტექნიკური და ადმინისტრაციული რესურსების შენარჩუნება, განახლება და მხარდაჭერა

რესურსების განახლება: 2019 წლის განმავლობაში, RFSU-ს ინსტიტუციური ფინანსური მხარდაჭერის ფარგლებში, თანადგომას თბილისის ოფისში ჩატარდა მცირე სარემონტო სამუშაოები; შესყიდულ იქნა ლიცენზირებული პროგრამები; შეკეთდა და განახლდა გარკვეული საოფისე აღჭურვილობა.

ფონდების მოძიება: ორგანიზაციის მდგრადობის უზრუნველყოფისათვის წლის განმავლობაში თანადგომა აქტიურად ეწეოდა ფონდების მოძიებას. ჯამში, სხვადასხვა პოტენციურ დონორთან შეტანილ იქნა 23 განაცხადი/კონცეფცია. 2019 წლის ბოლოსათვის შეტანილი განაცხადებიდან 8

(35%) აღმოჩნდა წარმატებული. ზოგიერთ განაცხადთან დაკავშირებული პასუხები მოსალოდნელია 2020 წელს.

3.3. ორგანიზაციული სისტემების გადახედა და გაუმჯობესება სათანადო ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად

შიდა რეგულაციების იურიდიული კუთხით გადახედა: 2019 წლის განმავლობაში არ შემუშავებულა რაიმე ახალი პოლიტიკები. თუმცა, ექსპერტ-იურისტებმა გადახედეს არსებულ შიდა რეგულაციებს და მათ თანმდევ ფორმებს, ამ დოკუმენტების შესაბამისობის კუთხით მოქმედ კანონმდებლობასთან. თანადგომას მენეჯმენტს მიაწოდეს რელევანტური რეკომენდაციები, რომელთა საფუძველზეც დოკუმენტებში შეტანილ იქნა შესაბამისი ცვლილებები.

ფინანსური პროცედურების განახლება/გადახედა: 2019 წლის განმავლობაში თანადგომამ გადახედა და განაახლა სახელფასო სკალა, ასევე გადახედა და განაახლა ბიდინგის/სატენდერო პროცედურები. განახლებული დოკუმენტები წარედგინა თანადგომას გამგეობას და მათი დამტკიცება მოსალოდნელია 2020 წლის დასაწყისში.

ბენეფიციარების რეგისტრაციის უნიფიცირებული ბაზა: გლობალური ფონდის პროგრამის ფარგლებში შემუშავდა ბენეფიციარების ახალი სარეგისტრაციო ბაზა. ამ ახალი ინსტრუმენტის გამოყენებაში ტრენინგი გაიარა ყველა რელევანტურმა პროგრამულმა შტატის წევრმა (სოციალური მუშაკები, კონსულტანტები, გასვლითი მუშაკები).

პარტნიორობა და ქსელური მუშაობა

თანადგომა ძალიან აფასებს პარტნიორობასა და ქსელურ მუშაობას ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე, რის მეშვეობითაც ორგანიზაციის პროგრამებისათვის ახალი შესაძლებლობები ჩნდება. 2019 წლის განმავლობაში თანადგომა ინარჩუნებდა წევრობას არაერთ ეროვნულ და რეგიონულ ქსელში, კოალიციასა და პლატფორმაში, როგორებიცაა: ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი; ქსელი „სწავლება ცვლილებისათვის“; კოალიცია ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის; რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების კოალიცია; პოლიტიკისა და ადვოკატირების საკონსულტაციო საბჭო, რომელიც ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში ფუნქციონირებს; AIDS Action Europe; ECOM; SCN; ზიანის შემცირების ევრაზიის ასოციაცია; EuroTEST; EKHN, და სხვა. გარდა ამისა, 2019 წლის სექტემბერში თანადგომა წევრად მიიწვიეს ახლად ჩამოყალიბებულ სამხრეთ და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონულ სათემო ქსელში აივ-ისა და ტუბერკულოზის საკითხებზე. ამავე დროს, თანადგომა გაწევრიანებულია ჯანდაცვის ადვოკატირების კოალიციაში, რომელიც მოიცავს თითქმის ყველა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციას, რომელიც მოდვანჭობს ჯანმრთელობისა და უფლებების სფეროში. ორგანიზაცია აგრძელებს თანამშრომლობას სამოქალაქო და სათემო ორგანიზაციებთან უკრაინაში, ყაზახეთში, ბელარუსში, მოლდოვაში, რუსეთში, სომხეთში, აზერბაიჯანში და აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის სხვა ქვეყნებში.

ორგანიზაციის 2019 წლის ფინანსური ანგარიში

ა(ა)იპ საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი "თანადგომა"

ანგარიშგება საქმიანობის შედეგების შესახებ 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
საანგარიშო წლისათვის

თანხები მოცემულია ეროვნულ ვალუტა ლარში	31.12.2019 (ლარი)
შემოსავლები	
დონორი ორგანიზაციებიდან მიღებული შემოსავლები	1 426 248
ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები	2 311 711
თანადგომას სოციალური საწარმოდან მიღებული შემოსავლები	10 830
საწევრო გადასახადებიდან მიღებული შემოსავლები	620
დანიციიდან მიღებული შემოსავლები	5 000
სხვა არა ფულადი შემოსავლები	-
სულ შემოსავლები	3 754 409
ხარჯები	
პროგრამული/ადმინისტრაციული ხარჯები	(3 540 600)
თანადგომას სოციალური საწარმოდას ხარჯები	(26 021)
ცვეთის/ამორტიზაციის დანახარჯები	(32 367)
სულ ხარჯები	(3 598 988)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა პროფიციტი/დეფიციტი	155 421
შემოსავლები და ხარჯები ფინანსური აქტივობებიდან	
არასაოპერაციო ხარჯები	(9 924)
არასაოპერაციო შემოსავლები	130 336
უცხოური ვალუტის კურსის შედეგად მიღებული მოგება/ხარალი	(10 012)
სულ შემოსავლები და ხარჯები ფინანსური აქტივობებიდან	110 400
შემოსავლის მითობა ხარჯებზე/დეფიციტი მოგების ბალანსხაღამდე	265 821
მოგების გასახადი	-
შემოსავლის მითობა ხარჯებზე/დეფიციტი მოგების ბალანსხადის შემდეგ	265 821

შემოსავლები

	31-Dec-19	
	(ლარი)	%
დონორი ორგანიზაციებიდან მიღებული შემოსავლები		
The Swedish Association for Sexuality Education (RFSU)	286 686	7.6%
Swedish International Development Cooperation Agency (SIDA)	17 633	0.5%
European Union (EU) Delegation to Georgia	526 483	14.0%
Caritas Austria	18 115	0.5%
Alliance for Public Health	251 014	6.7%
Eurasian Coalition on Male Health (ECOM)	24 741	0.7%
United Nations Population Fund (UNFPA)	96 755	2.6%
International AIDS Society	10 457	0.3%
Eurasian Key Populations Health Network	11 213	0.3%
NNLE Open Society Georgia Foundation	15 228	0.4%
Grand Challenges Canada	33 112	0.9%
Western-Eastern European Partnership Initiative on HIV, Viral Hepatitis (WEEPI)	134 811	3.6%
სულ დონორი ორგანიზაციებიდან მიღებული შემოსავლები	1 426 248	38.0%
ეკონომიკური საქმიანობიდან და თანადგომას სოციალური საწარმოდან მიღებული შემოსავალი		
ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი		
დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი ¹	2 311 711	61.6%
	-	
სულ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	2 311 711	61.6%
თანადგომას სოციალური საწარმოდან მიღებული შემოსავალი		
იურიდიული პირებისგან მიღებული შემოსავალი	9 380	0.2%
ფიზიკური პირებისგან მიღებული შემოსავალი	1 450	0.0%
სულ ეკონომიკური საქმიანობიდან და თანადგომას სოციალური საწარმოდან მიღებული შემოსავალი	10 830	0.3%
საწევრო გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი	620	0.02%
შემწირულობებიდან მიღებული შემოსავლები	5 000	0.1%
სულ შემოსავლები	3 754 409	100.0%

¹ შენიშვნა: აღნიშნული შემოსავალი წარმოადგენს აივ/შიდსთან, ტუბერკულოზთან და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდის მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი გრანტიდან მიღებულ შემოსავალს, თუმცა, რადგან გლობალური ფონდის გრანტს ქვეყანაში დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი განაგებს, "თანადგომას", როგორც განმახორციელებელ ორგანიზაციას, ეს შემოსავალი მიღებული აქვს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე. შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგების მიზნებიდან გამომდინარე, ეს შემოსავალი განიხილება როგორც ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი.

ა(ა)იპ საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი "თანადგომა"

**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
საანგარიშო წლისათვის**

თანხები მოცემულია ეროვნულ ვალუტა ლარში

	31-12-19 (ლარი)
აქტივები	
გრძელვადიანი აქტივები	
ძირითადი საშუალებები	337 353
არამატერიალური აქტივები	1 348
სულ გრძელვადიანი აქტივები	338 701
მოკლევადიანი აქტივები	
წინასწარ გადახდილი გადასახადები	5 844
მარაგები	3 440
დებიტორული დავალიანება	242 630
დონორების დებიტორული დავალიანება	1 714 414
წინასწარ გადახდილი ხარჯები	-
ფული და მისი ექვივალენტები	390 971
სულ მიმდინარე აქტივები	2 357 299
სულ აქტივები	2 696 000
ვალდებულებები და აკუმულირებული ფონდები	
აკუმულირებული ფონდები	
აკუმულირებული ფონდები	492 659
სულ აკუმულირებული ფონდები	492 659
ვალდებულებები	
გრძელვადიანი ვალდებულებები	
გადადებული შემოსავალი	2 047 791
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	2 047 791
მიმდინარე ვალდებულებები	
კრედიტორული დავალიანება	155 550
სულ მიმდინარე ვალდებულებები	155 550
სულ ვალდებულებები	2 203 341
სულ ვალდებულებები და აკუმულირებული ფონდები	2 696 000